აბაშის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლისა და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისა და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის“ შესაბამისად.

აღმასრულებელი ორგანოს შეფასების მთავარი კრიტერიუმი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის დონე და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაა. აღნიშნულის მისაღწევად მერის უფლებამოსილების დაწყების პირველივე დღიდან დავიწყეთ სათანადო მუშაობა. პირველ ეტაპზე განვახორციელეთ მერიის სტრუქტურული რეორგანიზაცია ეფექტური მენეჯმენტისა და სწორი ადმინისტრირების მისაღწევად. ჩამოყალიბდა მერიის ახალი სტრუქტურა, არსებული და ახალი საკადრო რესურსი ოპტიმალურად იქნა გადანაწილებული სხვადასხვა სამსახურში კვალიფიკაციის შესაბამისად, რითაც შესაძლებელი გახდა მთლიანად მერიის მუშაობის თვისობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.
დღეის მდგომარეობით მერიის 10 სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულია 83 (სულ საშტატო ერთეული 86, აქიდან 3 ვაკანსია) საჯარო მოხელე, 16 ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი და 11 შტატგარეშე მოსამსახურე.

ადგილობრივი ბიუჯეტი და შესყიდვები

მუნიციპალიტეტისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ძირითადი წყაროა ფინანსური რესურსები, რომელთა ეფექტიანად გამოყენებითაც უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები: ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკური წინსვლისა და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისთვის. შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების პირობებში ხარჯების შემცირებითა და ოპტიმალური გადანაწილებით ვახერხებთ იმ ძირითად გამოწვევებზე პასუხის გაცემას, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 24 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №12 დადგენილებით, ბიუჯეტი დამტკიცდა 8 615.1 ათასი ლარით. დამტკიცებულ ბიუჯეტში სულ განხორციელდა სამი ცვლილება. ბოლო ცვლილება განხორციელდა საკრებულოს 19.10.2022 წლის №6 დადგენილებით და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდა 16 500.1 ათასი ლარის ოდენობით;

მუნიციპალიტეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა იყო 12 678.9 ათასი ლარი. შესრულებამ შეადგინა 11 412.0 ათასი ლარი (გეგმა შესრულდა 90 %.); ხოლო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 12 678.9 თას ლარს, ფაქტიური შესრულება 9 686.5 ათასი ლარი (გეგმა შესრულდა 76 %.)
მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი და სოციალური პროგრამები.
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - შესრულებამ შეადგინა 3 864.1 ათასი ლარი; გეგმა იყო 5 264.0 ათასი ლარი ; (დაფინანსებულია 73 %-ით). მათ შორის:
ა. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა 3 215.7 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 2 578.8 ათასი ლარი (დაფინანსებულია 80 %-ით
ბ. ბინათმშენებლობა დაფინანსება - გეგმა 39.4 ათასი ლარი, შესრულება 9.1 ათასი ლარი (დაფინანსებულია 23 %-ით)
გ. სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა -რეაბილიტაციის გეგმა იყო 53.0 ათასი ლარი ; ფაქტიური შესრულება არ განხორციელებულა.
დ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაგეგმილი იყო 458.3 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება 120.6 ათასი ლარი (დაფინანსებულია 26 %-)
ე. მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებების გეგმა 1 262.6 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 1 036.9 ათასი ლარი; (დაფინანსებულია 82 %-ით); აქედან:
ე.ა. სკვერების მოწყობის ღონისძიებები გეგმა 129.6 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 77.9 ათასი ლარი; (დაფინანსებულია 60 %-ით);
ე.ბ. კეთილმოწყობის ღონისძიებები - გეგმა 1 133.0 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 959.0 თასი ლარი (დაფინანსებულია 85 %-ით); მათ შორის:
ე.ბ .ა. ქალაქის გარე განათება გეგმა 496.6 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 399.2 ათასი ლარი (დაფინანსებულია 80.1 %-ით);
ე.ა.ბ. კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები გეგმა 636.4 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 559.8 ათასი ლარი (დაფინანსებულია 88 %-ით);
ბ.ვ. საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპორტო მომსახურეობის შესყიდვა გეგმა 205.0 თასი ლარი; ფაქტიური ხარჯი 118.7 ათასი ლარი (დაფინანსებულია 58 %-ით);
ბ.ზ. ტურიზმი გეგმა 30.0 ათასი ლარი, ფაქტიური ხარჯი არ განხორციელებულა;
გ. დასუფთავება და გარემოს დაცვა გეგმა 331.0 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 272.4 ათასი ლარი (დაფინანსებულია 82 %-ით);
2. განათლება დაფინანსდა 1 506.8 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 1 866.5 ათას ლარს (დაფინანსებულია 81 %-ით).
3. კულტურის სფეროს განვითარება - დაფინანსდა 560.3 ათასი ლარით, გეგმა იყო 635.8 ათასი ლარი. (დაფინანსებულია 88 %-თ).
4. სპორტის სფეროს განვითარება - დაგეგმილი იყო 400.1 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება 344.6 ათასი ლარი; (დაფინანსებულია 86 %-თ);
5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -დაფინანსდა 601.2 ათასი ლარით. გეგმა - 724.0 ათასი ლარი (დაფინანსებულია 83 %-ით);

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 62 ხელშეკრულება, აქედან 16 ხელშეკრულება წარმოადგენს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებს, რომლის საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს 483 302.23 ლარს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ

გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გაფორმდა 15 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 325 433.08 ლარზე, ხოლო ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში გაფორმდა 1 ხელშეკრულება 20 000 ლარზე.
ელექტრონული ტენდერის საშუალებით მერიამ გააფორმა 18 ხელშეკრულება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 8 403 518.01 ლარს, აქედან ინფრასტრუქტურული პროექტების წილი 8 004 115.01 ლარია.

ინფრასტრუქტურა და ზედამხედველობა

წარმოგიდგენთ ადგილობრივი და სახელმწიფო-საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული პროექტების შესახებ დეტალურ ინფორმაციას:

ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურმა 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში მოამზადა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები. აღნიშნულ პერიოდში მომზადებულ იქნა 16 გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების პროექტი, ტროტუარის მოწყობის სამუშაობის პროექტი და ასევე რამოდენიმე ძველი პროექტის გადაფასების სამუშაო, რის შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა და მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა.

მიმდინარე წელს დაგეგმილი სამუშაოებისათვის, საქართველოს მთავრობამ, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, აბაშის მუნიციპალიტეტს 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით გამოუყო 2. 660. 743 ლარი, 2022 წლის 25 ოქტომრის განკარგულებით შევიდა ცვლილება და გამოუყო 5 526 822 ლარი, სადაც ჩვენი თანამონაწილეობის წილი შეადგენს 400 000 ლარს.

აღნიშნულ პერიოდში მომზადებულ იქნა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა შესყიდვა რამდენიმე ობიექტზე, კერძოდ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. ძიგურის გავლით სოფ. ზანათამდე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა - 3800 მეტრი, 592 575 ლარის ღირებულებით. სამუშაოები დასრულებულია;
2. აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ძვ. აბაშაში გზის ორმული შეკეთება და წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის გადაკვრა 4 სმ. სისქეზე - 5500 მეტრი, 472 262 ლარის ღირებულების. სამუშაოები დასრულებულია;
3. სოფ. ძვ. აბაშაში N8 ქუჩა შესახვევებით ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა - 2960 მეტრი, 565 411 ლარის ღირებულების. სამუშაოები დასრულებულია;
4. ქალაქ აბაშაშაში ცანავას ქუჩის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მაგისტრალამდე - 1645 მეტრი, 317 507 ლარის ღირებულების. სამუშაოები დასრულებულია;
5. ქ. აბაშაში, გამსახურდიას 1-ლი და მე-3 შესახვევების, კოწია-კაპანელის ქუჩიდან გამსახურდიას ქუჩამდე ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა - 2726 მეტრი, 518 906 ლარის ღირებულების;

6. აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიოში მდ. აბაშის მიმდებარედ ჭაბურღილთან და სოფ. მარანში საინფორმაციო ცენტრის მიმდებარედ გზის მოწყობა რკინა-ბეტონის საფარით - 900 მეტრი, 224 472 ლარის ღირებულების;
7. თოფურიას ქუჩაზე სანიაღვრე არხების ამოწმენდა და ხიდე-ბოგირების მოწყობა - 57 339 ლარის ღირებულების;
8. აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები - 128 350 ლარის ღირებულების;
9. სოფელ მარნის N14 N12 გზის ქუჩების ასფალტო ბეტონის საფარით - 2427 მეტრი, 500 650 ლარის ღირებულების;
10. სოფელ სუჯუნის კულტურის სახლისა და აბაშაში თავისუფლების ქუჩა N102 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავების რეაბილიტაცია, 83 370.0 ლარის ღირებულების;
11. სოფ. გაუწყინარში N1 ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 1890 მეტრი, 307 110.0 ლარის ღირებულების;
12. სოფ. გაუწყინარში ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 3000 მეტრი, 431 209.0 ლარის ღირებულების;
13. სოფ. პირველ მაისში კუდაეწერში N4 გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 2168 მეტრი; 216 661.0 ლარის ღირებულების;
14. სოფ. ნაესაკოვოსა და კოდორის შემაერთებელი გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 2668 მეტრი, 233 124.0 ლარის ღირებულების;
15. სოფ. ნაესაკოვოში შუაქალაქის უბნიდან იპოდრომამდე გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 3627 მეტრი, 481 672.0 ლარის ღირებულების;
16. სოფ. აბაშისპირის ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 1056 მეტრი, 133 123.0 ლარის ღირებულების;
17. სოფ. ქოლობანში N5 (პატარა გეზათი) გზის მოწყობა - 1613 მეტრი, 263 081.0 ლარის ღირებულების;

ზემოაღნიშნულ პერიოდში მომზადდა და გამოცხადდა შესყიდვა ტყვირის საჯარო სკოლის, სპორტული დარბაზისა და დამხმარე შენობის გადახურვის სამუშაოებზე - 166 753 ლარის ღირებულების და ქოლობნის საჯარო სკოლის გადახურვის სამუშაოებზე - 66 983 ლარის ღირებულების. სამუშაოები დასრულებულია.
ტენდერში გამარჯვებული საზედამხედველო კომპანიის „ექსპერტ ჰაუსის“ წარმომადგენლებთან ერთად, ყოველდღიურად (შაბათ-კვირის ჩათვლით) ხდება ზემოჩამოთვლილ სამუშაოებზე მიმდინარეობის მონიტორინგი და ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალში მონაცემების შეყვანა. კონტროლის ჯგუფის მიერ მომზადდა მიღება-ჩაბარების, ცვლილებების შესახებ და სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული თანხის დაბრუნების თაობაზე აქტები.

საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულება შეადგენს 70 %-ს.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით, აბაშის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 000 ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევა და პრიორიტეტულობის განსაზღვრა ხდებოდა მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით. შესაბამისად ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შეიქმნა კალენდარული გრაფიკი, კონკრეტული თარიღისა და დროის მითითებით, რის მიხედვითაც ხდებოდა დასახლების საერთო კრებებისა და კონსულტაციების ორგანიზება-დაგეგმვა. შერჩეულ იქნა 54 პროექტი, აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდება გზების მოწესრიგების, ხიდე-ბოგირების, სპორტული ინფრასტრუქტურის, სკვერების მოწყობისა და არხების გაწმენდითი სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისთვის მომზადდა 46 პროექტი. საბოლოოდ, პროექტების განსახორციელებლად ჩატარდა ბაზრის კვლევა ადგილობრივ მეწარმეებს შორის და 2022 წლის 11 აგვისტოს გაფორმდა 16 ხელშეკრულება 9 მეწარმესთან. საანგარიშო პერიოდში ფაქტიური შესრულება არის 80%,ხოლო საკასო 50%.

2022 წლის 22 ივნისს აბაშის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის, კოკისპირული წვიმით გამოწვეული წყალმოვარდნის შედეგად დაზიანდა საგზაო ინფრასტრუქტურა: ხიდები, ხიდე-ბოგირები, ნაპირსამაგრი ჯებირები, დაიტბორა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, ეზოები, სახნავ-სათესი სავარგულები, წყალმოვარდნის გამო საჭირო გახდა ოჯახების უსაფრთხო ადგილას ევაკუაცია.

აბაშის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით შეიქმნა ზარალის დამთვლელი კომისია. მიყენებული ზიანის აღრიცხვის შემდეგ მონაცემები სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თანხის გამოსაყოფად გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს. მომზადდა პროექტები სტიქიისგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მოთხოვნილი დაფინანსების მიღების შემდგომ შესაძლებელი გახდება ინფრასტრუქტურის აღდგენა.

მიმდინარე წელს სხვა უწყებებთან კოორდინაციით (შ.ს. სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მასში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებები, ს.ს.საქართველოს რკინიგზა და სხვა.) მონაწილეობა მივიღეთ აბაშის ტერიტორიაზე განთავსებული სალიანდაგო გადასასვლელების მდგომარეობის შესწავლის ყოველწლიურ კომისიაში.

საანგარიშო პერიოდში გამოიცა:

- 16 თანხმობა მიწის დაყოფის შესახებ და მიწის კატეგორიის ცვლილების შესახებ
- 14 მშენებლობის სანებართვო მოწმობა
- თანხმობა შ.შ.მ პირთათვის პანდუსის მოწყობის შესახებ
- 11 თანხმობა 1 კლასის ხაზობრივი ნაგებობისა და სარეკლამო ბანერის მოწყობაზე

ასევე აღნიშნულ პერიოდში გამოვლენილ იქნა სხვადასხვა სამშენებლო სამართალდარღვევა,რის შედეგად სამართალდამრღვევს მიეცა მითითება და გონივრული ვადა სანებართვო პირობის დარღვევის გამოსასწორებლად.
გამოვლენილ იქნა 3 სამშენებლო სამართალდარღვევა.
კონტროლდება უნებართვო მშენებლობები, სანებართვო პირობების შესრულება, სანებართვო ვადის დინების დრო, ექსპლუატაციაში მისაღები ობიექტების აღრიცხვა და დროის კონტროლი.
2022 წელს ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 5 ობიექტი.
მომზადდა საინფორმაციო პაკეტი შესრულებულ პროექტებზე და წარედგინა შესაბამის უწყებებსა და სტრუქტურებს.
აღნიშნული სამუშაოების განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ტრანსპორტის, ჯანდაცვის, განათლების, საბინაო-კომუნალური მომსახურების, აგრეთვე მოსახლეობის უსაფრთხო, ეკოლოგიურად ჯანსაღ და კეთილსაიმედო გარემოზე.

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა მოამზადა და მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2021 წლის 28 დეკემბრის #26 დადგენილებით დაამტკიცა ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესი" და მუნიციპალური სოციალური პროგრამების 17 პროექტი. ამ დადგენილების თანახმად, მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 იანვრის #ბ10.10220181 ბრძანებით შეიქმნა ,,სოციალური დახმარების გაცემის კომისია", რომელშიც მერიის და საკრებულოს პასუხისმგებელ პირებთან ერთად, სამსახურის ყველა თანამშრომელია ჩართული.

2022 წლის მუნიციპალური სოციალური პროგრამების ბიუჯეტი ამ ეტაპზე შეადგენს 682.600 ლარს.

საანგარიშო პერიოდში ,,სოციალური დახმარების გაცემის კომისიის" 44 სხდომა ჩატარდა. საანგარიშო პერიოდში 16 მუნიციპალური სოციალური პროგრამის ფარგლებში შესაბამისმა კომისიამ განიხილა 1372-მდე განცხადება. დახმარება მიიღო სხვადასხვა კატეგორიის 2.181-მა ბენეფიციარმა (,,მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების" ბენეფიციართა გარდა). არგუმენტირებულად უარი ეთქვა --6 ბენეფიციარს. აღნიშნულ ბენეფიციარებზე გაგზავნილია წერილობითი პასუხები.

აღნიშნული კომისია მუშაობას წარმართავდა აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტის შესაბამისად. რიგ შემთხვევებში კომისიურად ჩატარებულია მონიტორინგი.

17 მუნიციპალური სოციალური პროგრამით განსაზღვრული თანხები გახარჯულ იქნა შესაბამისი კატეგორიის პირებზე (ოჯახებზე) შემდეგი ოდენობით:

1. მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე

საბრძოლო მოქმედების მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების დახმარების პროგრამა. ომის მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა 3 ოჯახზე - 750 ლარი

2. გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა. გარდაცვლილ დევნილთა 13 ოჯახზე- 3.250 ლარი.

3. სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა. 15 ოჯახზე(ბენეფიციარი-16) -4.000 ლარი.

4. მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების პროგრამა. 191 ვეტერანზე-29.350 ლარი, ხოლო ომში დაღუპულ მებრძოლთა 7 ოჯახზე -3.500 ლარი. სულ: 32. 850 ლარი.

5.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების 37 ოჯახზე_ 7.600ლარი (ბავშვი-38).

6. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა. 64 ოჯახზე (65 ბავშვი) _ 13.450 ლარი. მათ შორის: პირველი შვილი- 13 ბავშვი, მე-2 შვილი- 23 ბავშვი, მე-3 შვილი -23 ბავშვი. მე-4 შვილი - 4 ბავშვი. მე-5 შვილი - 2 ბავშვი.

7. დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა. 1 ოჯახზე -1 ბავშვი-300 ლარი.

8. მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (0-დან 18 წლის ასაკამდე) ოჯახების დახმარების პროგრამა. მარჩენალდაკარგულ ბავშვთა 61 ოჯახზე (ბავშვი 103) _ 15.450 ლარი.

9. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დახმარების პროგრამით_ სულ დახმარება მიიღო 485-მა ბენეფიციარმა. თანხა-251.397 ლარი (გადარიცხულია 219.130) ლარი.

10. ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უხუცესთა დახმარების პროგრამა. ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უხუცესზე- 1 ბენეფიციარზე -1.000 ლარი.

11. სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა. სტიქიით მიყენებულ ზარალზე (ხანძარი და ქარი) 4 ოჯახზე _ 10.000 ლარი.

12. მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი შვილი 0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა. 324 ოჯახზე (1044 ბავშვი)- 104.400 ლარი.

მათ შორის: 3 შვილიანი ოჯახია - 269, ბავშვი- 807. 4 შვილიანი ოჯახი -44, ბავშვი- 176. 5 შვილიანი ოჯახი - 8, ბავშვი -40. 6 შვილიანი ოჯახი- 1, ბავშვი- 6 . 7 შვილიანი ოჯახი- 1, ბავშვი - 7. 8 შვილიანი ოჯახი- 1, ბავშვი- 8.

13. ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა. ყრუ-მუნჯების და ,,ჩერნობილელთა" 11 ბენეფიციარზე_ 2.200 ლარი.

14. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის (I ჯგუფი)მქონე პირების დახმარების პროგრამა. 135 ბენეფიციარზე—27.000 ლარი.

15. დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა. სულ: 14 ბენეფიციარი _24.000 ლარი (დახმარება გაიცემა ყოველთვიურად).

16. თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა – 0 (მომართვა არ ყოფილა).
17) ,,მზრუნველობამოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა“ -50 ბენეფიციარი ყოველდღიური ერთჯერადი კვებით- 47. 408 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სულ დახმარება გაეწია 2.181 ბენეფიციარს, თანხით 545.055 ლარი.
ვთანამშრომლობთ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან - ,,კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის“, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი, ასოციაცია ,,ჰანგი“ საერთაშორისო ასოციაცია ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სიკეთის მაძიებელი“ და სხვა.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარება

სამსახური, დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს ა(ა)იპ-აბაშის მუნიციპალიტეტის „კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის“ მართვის კოორდინაციას, მისი სტრუქტურული ერთეულების (საკლუბო-საბიბლიოთეკო დაწესებულებების, ხელოვნების სკოლის, სახლ-მუზეუმების), შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობას, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა სახის ღონისძიებათა ჩატარებას, ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების, თარიღების აღნიშვნას, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების და ქვეყნის ისტორიაში მათი წვლილის წარმოჩენას, მატერიალური და არამატერიალური (ფოლკლორის) კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, პოპულარიზაციას.
ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში მონაწილეობისათვის გადაეგზავნა მასალები სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ ,,ჰარირას“ მომღერალთა გუნდის, ქალთა კვარტეტის, სასოფლო ანსამბლ ,,სუჯუნა“-ს, ხვიჩიების საოჯახო ანსამბლის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა შესახებ.
ქ. სენაკის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ პირველ ტურში ჩვენი მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები გამორჩეული, საინტერესო ნამუშევრებით წარსდგნენ.
გადაცემა ,,ეთნოფორმა“ წლეულს თავისი 240-ე გადაცემა მიუძღვნა ,,ანსამბლ "ჰარირასთან“ არსებულ ქალთა კვარტეტს.
აღინიშნა ლაზარეს შაბათი და წმ.ანდრია მოციქულის ხსენების დღე.
სარეაბილიტაციო, საამშენებლო სამუშაოების გამო, მწერლის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, კონსტანტინე გამსახურდიას ნიჭის თაყვანისმცემლებს, კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზმა უმასპინძლა 15 მაისს. იმავე საკონცერტო დარბაზში გაიმართა, კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 83 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური საღამო.
მუზეუმის საერთაშორისო დღის თემის „მუზეუმების ძალა“ ფარგლებში მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სიმონ ჩიქოვანის სახლ-მუზეუმში ჩატარდა კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები, ფოლკლორული კონცერტი.

მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ბიბლიოთეკების კვირეულის ,,ბიბლიოთეკარი- წიგნის ჯადოქარის“ ფარგლებში, კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის ნორიოს, სამიქაოს, მაიდნის, ქოლობნის, სუჯუნის, პირველი მაისის თემის გაუწყინარის სასოფლო და მთავარ ბიბლიოთეკებში ჩატარდა ღონისძიებები: მკითხველთა კონფერენციები, თემატური, პოეზიის საღამოები, ნაწარმოებების ხმამაღალი კითხვები, ბიბლიოთეკების მკითხველთა ნამუშევრების გამოფენები.

2021-2022 წლებში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მთავარ ბიბლიოთეკას გადაეცა საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრობის სერტიფიკატი.

აუცილებელია ისეთი ფორმისა და შინაარსის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საშუალო და უფროსი თაობის ადამიანების შესაძლებლობების გამოვლენას, განწყობილების ამაღლებას, გართობას, დასვენებას და პასიური მაყურებლობიდან აქტიურ ჩართულობაზე გადასვლას. ამ მიზანს ემსახურებოდა ,,მამების დღის“ აღნიშვნა.

ხელოვანთა საერთაშორისო გაერთიანებისა და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზატორობით და მხარდაჭერით ფოლკლორის მე-7 საერთაშორისო ფესტივალის ,,ლეგენდების ქვეყანა“-ს ფარგლებში აბაშამ უმასპინძლა პოლონეთის, თურქეთის, სომხეთის და ლატვიის ფოლკლორულ ანსამბლებსა და ჯგუფებს.

კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანსამბლ ''ფორტეს'' კონცერტი.

კომპანია Meta Georgia-ს ორგანიზებითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, პროექტ „ჩემი საქართველო - ეგარის“ ფარგლებში გაიმართა ჯგუფ „ეგარი“-ს კონცერტი.

აბაშელ ახალგაზრდა ხელოვანთა წარმოჩენა-პოპულარიზაციის მიზნით პროექტის ,,აბაშური საღამოების“ ფარგლებში ჩატარდა მრავალი კონკურსის გამარჯვებულის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტის ნინო შონიას სოლო კონცერტი.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის გარეთ ჩატარებულ კონკურს-ფესტივალებში ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიღწევებს:

საქართველოს ხელოვნების აკადემიის მიერ ორგანიზებულ რიგით მე-9 სენაკის ,,დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხელოვნების ფესტივალზე'' ხელოვნების სკოლის სამუსიკო განყოფილების საფორტეპიანო და სიმღერის სპეციალობის მოსწავლეებს გადაეცათ საპატიო სიგელები.

ქ. ბორჯომში ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირ ''ჰარმონიას'' მიერ გამართულ კლასიკური მუსიკის ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა II საერთაშორისო კონკურსსა და XI საერთაშორისო ფესტივალზე რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი პიანისტები, ასევე დიდ წარმატებას მიაღწიეს აბაშელმა პატარა მუსიკოსებმა.

კოლხურ-ლაზური ცეკვისა და სიმღერის ფესტივალ-კონკურსზე ქორეოგრაფიულ ანსამბლ ''ანანურს'' კოლხურ-ლაზური ფოლკლორის საუკეთესოდ წარმოდგენისათვის გადაეცა ჯანო ბაგრატიონის სახელობის დიპლომი, მედლები და სამახსოვრო საჩუქარი.

საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე ,,ოქროს ზაფხული-2022“ ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,იმედი“ გახდა გრანპრის მფლობელი მაღალი საშემსრულებლო დონისა და საუკეთესო დისციპლინისათვის.

ქ. მინსკში გამართულ ბავშვთა ხატვის მე-8 საერთაშორისო კონკურსზე „მსოფლიოს ბავშვების მეგობრობა“, საკონკურსო თემატიკის,- მისტიკისა და ფანტაზიის გათვალისწინებით მატერიალური ფორმით გადაიგზავნა ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილების მოსწავლეების ნამუშევრები.

მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობდნენ: საქართველოს ქორეოგრაფთა ცეკვის აკადემიის მიერ ორგანიზებულ საქართველოს დამსახურებული არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის, სენაკის საპატიო მოქალაქის შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ფესტივალ-კონკურსში ,,კუჩხი ბედინერი-2022“, მე-4 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე ,,ART-კოლხი'', გიორგი წივწივაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფოლკლორულ ფესტივალზე, ღვინის ფესტივალზე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის თანაორგანიზებით ქ. თბილისში, გ. ჩიტაიას სახელობის ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში გამართულ ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში''არტგენი''.

ზუგდიდში, პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მეორე საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“ ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტით გაიხსნა. კონცერტში ჩვენი ქვეყნის ცნობილ ანსამბლებთან (,,ბასიანთან“, ,,ერისიონთან“ და სხვ.) ერთად მონაწილეობდნენ ანსამბლ ,,ჰარირა“-ს მომღერლები. ანსამბლს გადაეცა მადლობის სიგელი, ხატი, -,,პატიოსანი სამოსელი“ და ,,მეგრული პოეზიის ანთოლოგია“.

აბაშის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით გამართულ სალოტბარო სკოლების ყოველწლიურ ფესტივალზე ,,მომავლის ხმები".

მოეწყო ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. გასულ, 2021-2022 სასწავლო წლებში ხელოვნების სკოლა 38 -მა მოსწავლემ დაამთავრა.

მიმდინარე სასწავლო წელს ხელოვნების სკოლის მთლიანი კონტიგენტი შეადგენს 252 მოსწავლეს, მათ შორის პირველი კლასი-83.

რაც შეეხება ტურიზმის მიმართულებას, მომზადდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული და მასთან დაკავშირებული ობიექტების ელექტრონული ნუსხა, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად, რაც გამოიწვევს ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტებით (ამ ეტაპზე ძირითადად ეკლესიების) დაინტერესებული პირების, ცნობადობის ამაღლებას და ტურისტული სააგენტოების დაინტერესებას.

ასევე მიმდინარეობს მუშაობა, ტურიზმის განვითარების მიზნით შექმნილ „დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან“, რომელიც რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების მიერ არის დაფუძნებული და ეხმარება მუნიციპალიტეტებს ტურიზმში არსებული სხვადასხვა მიმართულებების შერჩევასა და განვითარებაში. ვგეგმავთ ორგანიზაციის თანამშრომლებთან ერთად, იმ მიმართულებების შერჩევასა და დამუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას.

განათლება, სპორტი და ახალგაზრდული საქმეები

საანგარიშო პერიოდში, განათლების მიმართულებით ღონისძიებები წარიმართა წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, სამსახურის დებულების მოთხოვნების შესაბამისად საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საჯარო სკოლებთან და სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებისა და კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის თანამშრომლებთან კოორდინირებული თანამშრომლობის საფუძველზე.
განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური განათლების განყოფილებასთან ერთად წარმოდგენილია აბაშის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 25 იანვრის ბ.10.10220265 ბრძანებით, აბაშის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურების თაობაზე, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების პირობების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფში.
მიმდინარე წელს საჯარო სკოლებში ჩატარდა სამეურვეო საბჭოს არჩევნები.
აბაშის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოს წევრებად მერის ბრძანებით (ბ10 10221995,თარიღი 18/07/2022) დანიშნულ იქნენ მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და მერიის თანამშრომლები. სამეურვეო საბჭოს წევრები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში.
სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაგეგმილი აქვს ქალაქ აბაშის N 2 საჯარო სკოლის შენობის ნაცვლად ახალი სკოლის შენობის აშენება. აქტიურად ვართ ჩართული სკოლის ტერიტორიაზე მდებარე ყველა შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროცედურების განხორციელებაში.
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც გარდამავალ პერიოდში, 2030 წლის 1 იანვრამდე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციას ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. 2022 წლის 01/07-31/12 პერიოდში დაწესებულებათა პირველადი რეგისტრაციის მიზნით, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია უნდა გაეარა 2022 წლის 1 ივლისამდე მოქმედმა და ავტორიზაციის გავლის სურვილის მქონე დაწესებულებამ, როგორც კერძომ, ასევე საჯარომ.
2023 წელს აღნიშნულ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული დაწესებულებები წარადგენენ თვითშეფასებას და 2024 წლის 1 ოქტომბრიდან დამტკიცებული განრიგის შესაბამისად გაივლიან ავტორიზაციას.
გაიმართა წარჩინებული კურსდამთავრებულების, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების დაჯილდოვება.
„საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ სიგელი და მედალი გადაეცა სოფელ ნოღოხაშის საჯარო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ დარეჯან ცომაიას.
გენდერული თანასწორობის ფარგლებში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, წახალისებისა და წარმოჩენის მიზნით,11 მრავალშვილიან დედას (5 შვილი და ზემოთ) და 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, გიორგი ნადარეიშვილის დედას სასურსათე ნაკრები, წიგნები და საოჯახო ტექნიკა გადაეცა.

გაიმართა ასევე ექსპრომტების საღამო-კონკურსი თემაზე _,,არ გვინდა ომი!".
ჩატარდა ნაყოფიერი სამუშაო შეხვედრა სამეგრელოს ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოებთან.
ასევე გაიმართა ქართული ენის დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
„ევროპის დღეების“ ფარგლებში, თემატური კონფერენცია_,,ევროპა ჩვენი არჩევანია“ გაიმართა.
ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელობის პარკში სხვადასხვა სახის საზეიმო ღონისძიება გაიმართა.
N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის ბაზაზე არსებული 2 სასკოლო მზაობის ჯგუფისთვის და საბავშვო ბაღებში ინტეგრირებულად არსებული სასკოლო მზაობის ჯგუფებისთვის შეძენილ იქნა საგანმანათლებლო-სოციალური პროექტ ,,ეტალონის“ მიერ მოწოდებული სახელმძღვანელო, სასკოლო მზაობის წიგნი-რვეული (50 ცალი) ,,პირველკლასელთა აკადემია“.
ხელოვნების სკოლის დარბაზში ჩატარდა ღონისძიება ''სამი სავარძელი ხელოვანთათვის''.
მიმდინარე წელს თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქად გამოცხადდა, ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად გამართულ კვირეულის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა პროექტი: სიმონ ჩიქოვანისა და კონსტანტინე გამსახურდიას მუზეუმებში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ჩატარებული კვირეულის შემაჯამებელ საღამოზე მოეწყო შეხვედრა არაერთი პრემიის ლაურეატთან, აბაშელ პოეტთან და მთარგმნელთან, ბათუ დანელიასთან.
კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, საქართველოს, უკრაინისა და ლატვიის მწერალთა კავშირის წევრის, უკრაინის სახალხო პოეტის, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ლატვიაში 2006-2010 წლებში, შოთა რუსთაველის პრემიისა და მრავალი სხვა პრემიის ლაურეატის, სამი სხვადასხვა ქვეყნის ორდენის კავალერის, რაულ ჩილაჩავას შემოქმედებითი საღამო გაიმართა.
ახალგაზრდული დღეების ფარგლებში ,,აბაშა 2022“ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელობის პარკში, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტის, თემურ ელიავას პოეზიის საღამო გაიმართა.
კულტურისა და ხელოვნების განვითარების დარბაზში ჩატარდა მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2-მა, რომლის მიზანია პროფესიონალი კადრების მომზადება და დასაქმების ხელშეწყობა სექტემბრის თვეში ახალი საშემოდგომო ნაკადის მიღებასთან დაკავშირებით ქ. სენაკში ჩაატარა სამუშაო შეხვედრა, აღნიშნულ შეხვედრაზე აბაშის მუნიციპალიტეტიდან უზრუნველყოფილი იქნა ახალგაზრდების დასწრება.

სპორტის დღესთან დაკავშირებით სპორტის განყოფილების ორგანიზებით მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები: ჭიდაობაში, ჭადრაკში, კრივში. ასევე ქალაქის ცენტრში მოეწყო ველო-მარათონი.
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ა(ა)იპ 7X7 ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ მასტერ ლიგის მუნიციპალურ ტურში მონაწილეობა მიიღეს ქალაქისა და ტყვირის სამოყვარულო გუნდებმა. ამავე ფედერაციის ორგანიზებით დაბა მესტიაში გაიმართა მასტერ-ლიგის ტურნირი 16 წლამდე გოგონათა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო აბაშის გოგონათა გუნდმა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ა(ა)იპ 7X7 ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ მასტერ ლიგის რეგიონალურ ტურში აბაშის მუნიციპალიტეტის გუნდი მიღწეული წარმატებებით გადავიდა ½ ფინალში.

ევროპის სპორტის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სპორტული აქტივობები შემდეგ სახეობებში: ქუჩის კალათბურთი 3*3, ველო მარათონი, საჩვენებელი გამოსვლა ძიუდოში.

დაიწყო ბავშვთა და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2022-2023. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში, მუნიციპალურ ტურებში გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ ტურნირებში.

ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრში ფუნქციონირებს: სპორტსკოლა, ტურიზმის სამსახური, ახალგაზრდული პროგრამული მართვის სამსახური და იპოდრომის მართვის სამსახური. სადაც დასაქმებულია 57 თანამშრომელი

სპორტსკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 11 სახეობა(ბ/რომაული, ნიჩბოსნობა, ველოსპორტი, ბ/ჰოკეი(ვაჟები, გოგონები), ძიუდო, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ტაეკვონდო, კალათბურთი, კრივი, მ/ჩოგბურთი) რომელშიც საწვრთნელ საშეჯიბრო ვარჯიშს გადის 200 მოსწავლე, მუშაობს 17 მწვრთნელ მასწავლებელი.

სპორტის განვითარების ცენტრის სპორტსმენებმა 2022 წლის 01 სექტემბრამდე მონაწილეობა მიიღეს 35 სხვადასხვა ღონისძიებაში.

ბ/ჰოკეის გოგონათა გუნდი მონაწილეობას იღებდა ჩელენჯი-2 გათამაშებაში შვეიცარიის ქალაქ ბაზელში სადაც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იყო 6 აბაშელი გოგონა.

ვაჟი ჰოკეისტები მონაწილეობდნენ ჩელენჯი 2-ში თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ალანიაში სადაც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოძახებული იყო 5 აბაშელი სპორტსმენი.

მ/ჩოგბურთში გიორგი ლიპარტია გახდა 2022 წლის საქართველოს ჩემპიონი 19 წლამდელთა შორის, ხოლო ნინი ლიპარტიამ დაიკავა მე-3 ადგილი 17 წლამდელ გოგონებს შორის.

ნიჩბოსნობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა ერთადგილიან ნავში 2000 მ დისტანციაზე გიორგი გაბელაია, ხოლო ორადგილიანებში 2000 მ დისტანციაზე ხოშტარიამ და ბოკუჩავამ დაიკავეს მე-2 ადგილი.

რეგიონის პირველობები:

რეგიონალურ პირველობაზე ძიუდოში ჩვენმა ჭაბუკმა ძიუდოისტებმა დაიკავეს 5 პირველი, 3 მეორე, და 6 მესამე ადგილი.

ტაეკვონდოში ჩატარდა 2 რეგიონალური ღონისძიება სამეგრელოს თასზე დავიკავეთ 1 პირველი, 1 მეორე და 1 მესამე ადგილები. ხოლო გურიის პირველობაზე 3 პირველი, 1 მეორე და 2 მესამე ადგილები.

ჩატარდა მუნიციპალური პირველობა მძლეოსნობაში საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის.

ახალგაზრდული ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიებები მინი ფეხბურთში, 3X3 კალათბურთში , მ/ჩოგბურთში მკლავჭიდში, ჭადრაკში ნარდსა და ბოჩაში. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით.

ახალგაზრდული ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა წყემის ნაკრძალის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის პირველობა ფეინთბოლში, რომელში მონაწილეობას ღებულობდა 12 გუნდი. გამარჯვებული გახდა ზანათის გუნდი.

იპოდრომზე სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ჩატარდა შეჯიბრება დოღსა და მარულაში, გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით.

იპოდრომზე ჩატარდა საქართველოს ხალხური ცხენოსნობის ეროვნული ფესტივალი რომლის ფარგლებში ჩატარდა დოღი 4 დისტანციაზე, ცხენბურთი და ისინდი, გამარჯვებული გუნდები და სპორტსმენები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, თასებით.

საფეხბურთო კლუბ ,,ზანაში“ ფუნქციონირებს ჭაბუკთა სამი საშეჯიბრო ჯგუფი U10; U12; U14, რომლებიც მონაწილეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატში.

საფეხბურთო კლუბი ,,ზანა“ მონაწილეობს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონალური ლიგის დასავლეთ -,,გ“ ჯგუფში. მიმდინარეობს რეგიონული ლიგის ჩემპიონატი. შედეგები დამაკმაყოფილებელია. კლუბი 50 000 ლარით ფინანსდება ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან.

კლუბმა ,,ზანა“ მონაწილეობა მიიღო იმერეთის თასზე, სადაც დაიკავა მე-2 ადგილი. ხოლო საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასზე გავიდა მერვედ ფინალში.

კლუბ ,,ზანაში“, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ირიცხება 85 ფეხბურთელი. გუნდი ეკიპირებულია სათანადო აღჭურვილობით. აბაშის ცენტრალური სტადიონი სტანდარტების შესაბამისია და აკმაყოფილებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნებს. ბალახის საფარი მუდმივად მოვლილი და ყველა თამაშზე სათანადოდ მოწესრიგებულია.

შშმ პირთა მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით 15:21 წუთზე ჩვენი მუნიციპალიტეტი შეუერთდა უთვალავი წინდის მსოფლიო აქციას.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში, 14 ივნისს ჩვენს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნა.

განხორციელდა პროექტი - ,,მე ახალგაზრდა ლიდერი“. პროექტის მიზანი ლიდერის თვისებების მქონე ახალგაზრდების აღმოჩენა-წარმოჩენა და მათი წახალისება, მათთვის დამატებითი მოტივაციისა და სტიმულის შექმნა გახლდათ.

ქ. ზუგდიდში, ტექნოპარკში გაიმართა მოხალისეობის რეგიონული ფორუმი, ფორუმი ჩატარდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ,,სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ ფარგლებში, განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრისა(EDEC) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ჰაბი ,,ათინათის“ ორგანიზებით, ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა ჩვენი მუნიციპალიტეტიდან.

მრავალფეროვანი და საინტერსო ღონისძიებებით დატვირთული იყო წელს ახალგაზრდული დღეები ,,აბაშა 2022“, რომელიც 12 აგვისტოს -ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს დაიწყო და 18 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდა.

ჩემპიონატები გაიმართა: 3X3 კალათბურთში(14 გუნდი) და სპორტის პარალიმპიურ სახეობა ,,ბოჩაში“(12 გუნდი), მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ნარდში, მკლავჭიდში, სამაგიდო თამაშებში.

ახალგაზრდული დღეების კულმინაცია იყო ,,ღამის შოუს“ ბენდის კონცერტი.

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ჰელფინგ ჰენდი“-ის ორგანიზებით საგანმანათლებლო პროექტი: ,,მოხალისე წყლის ადვოკატებთან“ დაკავშირებით საირმეში სამუშაო- საგანმანათლებო შეხვედრას დაესწრო 6 ახალგაზრდა.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან ტარდება საქართველოს ქართული ლიგის შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობას იღებს აბაშის ქართული ლიგის გუნდი ,,სულგუგუნი“.

ეკონომიკა, ქონების მართვა და სოფლის მეურნეობა

საანგარიშო პერიოდში გაიგზავნა მომართვები სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სხვადასხვა უძრავი ქონებების აბაშის მუნიციპალიტეტზე დამატებითი ქონების სახით გადმოცემასთან დაკავშირებით.

უძრავი ქონებების, არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების და შენობა-ნაგებობების გადმოცემის, პრივატიზების, დაყოფის თუ სხვა გასატარებელი ღონისძიებების შესახებ გამოიცა ბრძანებები.

ელ. აუქციონის წესით იჯარის ხელშეკრულებები დაიდო უძრავ ქონებებზე: სოფ. კეთილარში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 13889.00 კვ/მ მიწის ნაკვეთზე. წლიური იჯარის ღირებულება - 10450 ლარი. ქ.აბაშა თავისუფლების ქ.N50-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 300.00 კვ/მ მიწის ნაკვეთზე. წლიური იჯარის ღირებულება - 1980 ლარი.

ასევე აუქციონის წესით გატანილ იქნა პრივატიზებაზე - თავისუფლების ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების - 6.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ღირებულება - 660 ლარი.

გაფორმდა ხელშეკრულება აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ ,,იურიდიული დახმარების სამსახურისათვის“ გადაცემის თაობაზე (2 წლის ვადით).

გამოიცა მერის ბრძანებები 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის ექიმებისათვის აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადაცემის შესახებ, რაზედაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები (2022 წლის 31 დეკემბრამდე).

გაფორმდა ხელშეკრულება აბაშის მერის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე (ფუნქციონირების ვადით).

გაფორმდა ხელშეკრულება აბაშის მერის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კოალიცია ,,სოციალური რეფორმებისათვის“, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე (2 წლის ვადით).

2022 წლის აპრილში გადაიგზავნა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს- „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ , „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

2022 წელს აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ამოღებულმა მოსაკრებელმა შეადგინა - 69 361 ლარი, მათ შორის:

- მოსაკრებელი დასუფთავების - 16182 ლარი.
- მოსაკრებელი მშენებლობის სანებართვო - 14943 ლარი.
- მოსაკრებელი მიწის იჯარიდან - 21 204 ლარი.
- მოსაკრებელი შენობა-ნაგებობების იჯარიდან - 17 032 ლარი.

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებასთან დაკავშირებით, 2022 წელს გაფორმებულია 163 ხელშეკრულება, გარდა მობინადრეებისა.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 იანვრის #93 განკარგულებით „ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით“ შეიქმნა სამთავრობო კომისია და დამტკიცდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის მერის №10.10220466 15/02/2022წ. ბრძანებით მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, პროგრამაში ჩართულია სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს შემუშავებული სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც მოიცავს:

1. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ცენტრთან ერთად ღონისძიებების დაგეგმვის უზრუნველყოფას.
2. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებზე აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების თაობაზე დავალებების გაცემას და მისი შესრულების კონტროლს.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ძირითადი მიზანია მავნებლის რაოდენობის შემცირება და კონტროლი, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება და მისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი.

მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე, 16 ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსდა მონიტორინგისათვის - 1630 ცალი ფერომონი, რომელზეც მიმდინარეობდა ვიზუალური მონიტორინგი.

ტერიტორიების დამუშავება მიმდინარეობდა თერმული ნისლის აგრეგატით და შემასხურებლით.

თერმულნლი ნისლით დამუშავდა _ 6000 ჰა.

ტყის პერიმეტრი _ 1113,50 ჰა;

სოფლების წერტილოვანი დამუშავება _ 1075,25 ჰა;

სიმინდის მასივები და მიმდებარე ტერიტორია _ 15546,25 ჰა;

აბაშის მუნიციპალიტეტში ქალაქის, ნორიოს, ონტოფოს, სეფიეთსა და სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულების ტერიტორიაზე დაფიქსირდა ცოფის 10 შემთხვევა (ძაღლი, ღორი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი), რის საფუძველზეც გამოცხადდა ვეტერინალური კარანტინი, კარანტინის პერიოდში დახმარება გაეწია სურსათის ეროვნულ სააგენტოს ვეტერინალურ-სანიტარული ღონისძიებების გატარებაში.

ასევე, მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულება გააფორმა ა(ა)იპ „ცხოველთა პოპულაციის მართვის ცენტრთან“, რომელმაც განახორციელა მიუსაფარი ძაღლების გაყვანა. (შემდგომში ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაციის და სტერილიზაციის ჩასატარებლად).

მერიის მიერ გაცემულ იქნა თანხმობა სოფ. ძველი აბაშას, სოფ. კეთილარსა და სოფ. ქოლობანში ქვიშა-ხრეშის მოსაპოვებლად ლიცენზიის გაცემის თაობაზე.

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს აბაშის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის 2022 წელს განხორციელებული პროექტები:

1) საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 აპრილის №212 დადგენილებით აბაშის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მფლობელებს 0.25 ჰა დან - 1.25 ჰა-მდე დაურიგდათ აგრო ბარათები. (1ჰა-ზე 300 ქულის პროპორციულად). რომლის გამოყენება შესაძლებელი იყო აგრო მაღაზიებში. აგრო ბარათებით ისარგებლა დაახლოებით მოსახლეობის 35% -მა.

2) საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის N 236 დადგენილებით აბაშის მუნიციპალიტეტში განხორციელდა აგრო დაზღვევის პროგრამა. იმ ფერმერებს, რომლებიც სარგებლობდნენ აგრო დაზღვევით აუნაზღაურდათ ზარალის 90%. აქედან სოფლის განვითარების სააგენტო უხდის ბენეფიციარს სადაზღვევო პოლისის ღირებულების 70% .

3) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N 139 დადგენილების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით - ძირითად და საბრუნავ საშუალებებზე დაუფინანსდათ ფერმერებს გაცემული 219 000 ლარზე გადასახდელი პროცენტის 9%.
4) საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის N235 დადგენილებით დამტკიცდა მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამა ითალისწინებს თანადაფინანსებას ქალებზე 80% არაუმეტეს 30 000 ლარისა და მამაკაცებზე 60 % არაუმეტეს 30 000 ლარისა. პროექტი ასევე 80% -ით აფინანსებს ახლგაზრდებისათვის ალტერნატიულ საქმიანობას (სათბურები 100 კვ-მდე) ამ პროექტზე ამჟამად გაკეთებულია 50-მდე განაცხადი.
5) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილება- „დანერგე მომავლის“ ფარგლებში 2022 წელს პროექტში ჩაერთო დაახლოებით 10-მდე ბენეფიციარი, რომლებიც ამჟამად პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე არიან და ძირითადად დაფნის კულტურის გაშენებით არიან დაინტერესებული. დაფინანსდება 1-ჰა ზე 10 000 ლარი (იგულისხმება 70% ნერგის ღირებულების, ხოლო წვეთოვანი 50% .)
6) საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივილისის N385 დადგენილებით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა მეორადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და აგრეგატების თანადაფინანსებას 35%-ოდენობით, მხოლოდ ლოჯისტიკის სერვის ცენტრის მიერ გამოცხადებულ აუქციონზე, აბაშის მუნიციპალიტეტში 2022 წლის მდგომარეობით დაფინანსდნენ ბენეფიციარები, რომელთაც შეიძინეს მეორადი ტექნიკა და აგრეგატები, ჯამში დაახლოებით 50 000 ლარის ოდენობით.
მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში 2022 წელს განხორციელდა ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის საკარმიდამო მიწების აღრიცხვა შემდგომში დასარეგისტრირებლად.

შიდა აუდიტი

2022 წლის საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული იყო 5 აუდიტორული შემოწმების ჩატარება.
ამ ეტაპისთვის აუდიტორული შემოწმება განხორციელდა საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის ფორმირებისა და დაგეგმარების განყოფილებასა და ინფრასტუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურში.
დაიწერა აუდიტორული ანგარიში. შემოწმების პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევები, „მიგნებები“ არ აღმოჩენილა. დაფიქსირებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე გაცემულ იქნა რეკომენდაციები.

ინსპექტირება პერიოდულად ხორციელდებოდა სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში პროდუქტის სწორად ხარჯვის შესაბამისობაზე.
ასევე, პერიოდულად ხორციელდებოდა შემოწმება მერიის სტრუქტურული ერთეულების მოხელეთა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებ-ში დასაქმებულ თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადებაზე.

სამხედრო აღრიცხვა, გაწვევა და მობილიზაცია

მიმდინარე წლის განმავლობაში გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 97 წვევამდელი, აქედან გაწვევის შესახებ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება 15 წვევამდელზე, ხოლო 65 წვევამდელს მიეცა გადავადება საქართველოს კანონის სხვადასხვა მუხლებით, ხოლო დაცვის პოლიციაში გაწვეულია 7 წვევამდელი, სახელმწიფო დაცვის სამსახურში 1 წვევამდელი.

პირველად სამხედრო აღრიცვაზე აყვანილ იქნა 96 ჭაბუკი. 2022 წლის 15 მაისს მომზადდა და გაიგზავნა 2005 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვის ანგარიში. ასევე მომზადდა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაიგზავნა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის ანგარიში.

აგრეთვე მიმდინარეობს სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო ვალდებულთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და მათზე დროებითი მოწმობების გაცემა, სამხედრო ვალდებულთა და წვევამდელთა საკონტრაქტო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით სათანადო დოკუმენტაციის შედგენა. საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 7 პირი.

აქტიურ სამხედრო რეზერვში გაწვეულია 1 პირი. ამასთანავე ყოველდღიურად მიმდინარეობს მთხოვნელთა მიღება და მათ მოთხოვნებზე სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

ამჟამად ვმუშაობთ 2006 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მოსამზადებელი სამუშაოების და 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის გეგმა-დავალების შესრულების ღონისძიებებზე.

ადმინისტრაცია, მოქალაქეთა ჩართულობა, გამჭვირვალობა

მოგეხსენებათ, რომ სამსახურისა და მთლიანად მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს მოქალაქეთა განცხადებებსა და წერილებზე მუშაობა. სამსახურის საჯარო მოხელეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ თითოეული განცხადების უკან კონკრეტული მოქალაქეა თავისი პრობლემებით. ამიტომ მათზე გულისხმიერი დროული საქმიანი და ობიექტური რეაგირება განსაზღვრავს თვითმმართველობის ხელმძღვანელებისა და თითოეული მოხელისადმი საზოგადოების ნდობასა და ავტორიტეტს.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში სულ შემოსულია 2035 კორესპონდენცია, სხვადასხვა უწყებებიდან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დახმარების გაწევის თაობაზე შემოსულია 1732 განცხადება, რომლებიც შესწავლილი და განხილულია შესაბამისი კომისიის მიერ.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ადამიანური რესურსების მართვის საკითხებსა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას. 30 ზე მეტი თანამშრომელი დაესწრო სხვადასხვა თემატიკის ონლაინ ტრენინგებს. დანერგილია მოხელეების შეფასების სისტემა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოქალაქეთა მიღების ორგანიზებასა და მათ ინფორმირებას სხვადასხვა საკითხებზე; ამ მხრივ მოქალაქეთა პრობლემების თემატიკიდან გამომდინარე ეფექტურად ვითანამშრომლეთ მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა სამსახურთან. სხვადასხვა საჭიროების გამო 350-მდე მოქალაქემ მომართა მერს განცხადებით.
შეუფერხებლად ხდებოდა სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება როგორც დისტანციურად, ასევე უშუალოდ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. შეუფერხებლად ხდებოდა მოქალაქეებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა 24 საათიან რეჟიმში, ხორციელდებოდა მერიის სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიება და სელექცია.
რეორგანიზებულ იქნა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი, სადაც განთავსდა 160-მდე ინფორმაცია ასევე, facebook-ის ოფიციალურ გვერდზე განთავსდა 170-მდე ინფორმაცია.

უზრუნველყოფილ იქნა დასახლებებში საერთო კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება. საანგარიშო პერიოდში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სულ 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებულია 35 საერთო კრება და კონსულტაცია (ესწრებოდა სულ 3000 მეტი ამომრჩეველი).
დასასრულს უნდა აღვნიშნო, რომ ჩემ ანგარიშში აქცენტი შეგნებულად გაკეთდა პოზიტიურზე, მაგრამ ჩვენი საქმიანობის პროცესში ჯერ კიდევ არის გარკვეული ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს საფუძვლიან ანალიზს სათანადო რეაგირების ფორმების შესამუშავებლად.

და ბოლოს, აღვნიშნავ, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ვმუშაობთ კონსტრუქციული თანამშრომლობის რეჟიმში, აქტიური კომუნიკაცია გვაქვს რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, ვგრძნობთ მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერას, რაც დასახული მიზნების სრულფასოვნად განხორციელების კარგ წინაპირობებს გვიქმნის.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერი, გიგა გაბელაია

31.10.2022